

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ჟურნალ „კადმოსის“ რედაქცია საიუბილეო თარიღს ულოცავს ცნობილ მეცნიერებს, ქალბატონ მზექალა შანიძეს და ბატონ ჰაინც ფენრიხს.

მზექალა შანიძე – 90

ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა, რომ დღეს მზექალა შანიძის 90-ე დაბადების დღეს ვზეიმობთ და მე მადლობელი ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა, ჩემს კოლეგას, მნიშვნელოვან პიროვნებას და შესანიშნავ მეცნიერს ვუსურვო დღევრძელობა და მხნეობით ფილოლოგიური საქმის მფარველობა.

წესით მე დღესაც უნდა გამემეორებინა ქების სიტყვა, რომელიც ხუთი წლის წინ წარმოვთქვი უაღრესად დამსახურებული ფილოლოგის მისამართით, ფილოლოგისა, რომელმაც ჩვენ, ქართველოლო-

გებს, გვაჩუქა მნიშვნელოვანი ძველი ქართული ტექსტების გამოცემები და ორიონის მბრწყინავი თანავარსკვლავედი ქვეშ გააფართოვა შუა საუკუნეების ტექსტების კვლევის ჩარჩო მრავალი საქმიანობისთვის. მაგრამ მისმა უაღრესად მკაფიო მოხსენებამ, რომელიც ზოგიერთმა ჩვენგანმა ნოემბერში მოისმინა, ყურადღება გამამახვილებინა მისი შრომის საფუძველმდებარე მხარეზე. მზექალა შანიძემ ისაუბრა ძველ ქართულ ქრონიკაში დადასტურებული სახელის ერთ ფორმაზე, რომელიც თავდაპირველად მცირე აზიის მდინარე ჰალისს აღნიშნავდა. ქრონიკის შემდგენელმა



ვერ გაიგო თავის წყაროში წაკითხული სახელი და მას სხვა ტოპოგრაფიული მნიშვნელობა მისცა.

ეს არის ტიპური და სასწავლო [თვალსაზრისით] მდიდარი პრობლემა. უმეტესობისთვის – ფილოლოგების გარდა – სავარაუდოდ, სასაცილოც შეიძლება იყოს და დღევანდელი მეცნიერების შოუბიზნესში, ასეთი ნააზრევით ალბათ, პუბლიკისგან წარმატებას არ უნდა ელოდო, მაგრამ ეს იყო სანიმუშო მოხსენება, რომელიც თვალნათლივ აჩვენებს ფილოლოგიური სამუშაოს ფუნდამენტურ ასპექტებს. ტექსტის ამ კონკრეტული ადგილის პრობლემა ზუსტი კრიტიკული წაკითხვის გარეშე ვერ ამოიცნობა და სპეციფიკური ფილოლოგიური მიდგომის გარეშე ვერ გადაწყდება. უშუალოდ გასაგებ ფორმას ვერც ხელნაწერთა – თავისთავად აუცილებელი – შედარება მოგვცემს და არ არსებობს სისტემატური ოპერაცია და არც ესოდენ დიდი და სასარგებლო, კომპიუტერში შენახული მასალა იძლევა მექანიკური ინტერპრეტაციის საშუალებას. გენმარება მხოლოდ ის, რასაც ჰერმენევტიკის წამყვანმა ფუძემდებელმა, ფრიდრიხ შლაიერმახერმა ე. წ. „დივინატორული (ე.ი. მვარაუდებლის) მეთოდი“ დაარქვა და რომელიც ემყარება „წვრთნით განსწავლულ ტალანტს“. ეს ტალანტი, ტექსტების ფართო ცოდნა და ისტორიული განსწავლულობა გვაძლევს საშუალებას, „შეხედო ავტორს თავის სახელოსნოში“, როგორც ეს განსაზღვრა ფილოლოგმა კარლ ლახმანმა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. მზექალა შანიძის მაგალითის უძლიერესი მხარე არის ის, რომ სახელ ჰალისის „სწორი“ თავდაპირველი ფორმა ამ შემთხვევაში სწორედ რომ მცდარია, ვინაიდან ტექსტისთვის გადამწყვეტია, რა ესმოდა ქრონიკის ავტორს და არა ის, რასაც მისი წყარო გულისხმობდა.

ამას გარდა, მთელ ფილოლოგიურ სამუშაოს აქვს არსებითი წინაპირობა, კერძოდ, ტექსტის მიმართ პატივისცემა. ისტორიული თვალსაზრისით, ეს პატივისცემა არის კანონიკურ ტექსტებზე, როგორიცაა ჰომეროსი და წმინდა წერილი, ფილოლოგიური მუშაობის მემკვიდრეობა და ეფრემ მცირისთვის ეს წარმოადგენდა არა მარტო წმინდა წერილის, არამედ მისი წინამორბედების თარგმანებისა და კომენტარების პატივისცემასაც. მაგრამ დღევანდელი ფილოლოგისთვის კი ასევე ქრონიკის ავტორის ტექსტიც პატივისცემას ითხოვს და ამდენადვე გაგების ძალისხმევას.

მე ვფიქრობ, რომ ყველა ეს ასპექტი, რომელიც შეიძლება ისწავლო კარგ ფილოლოგთან, ძალიან აქტუალურია. ვინც დღეს საქართველოში ან სადმე სხვაგან უნივერსიტეტში მუშაობს ან მხოლოდ საზოგადოებრივ დისკურსს ზედმიწევნით ადევნებს თვალს, იცის, რომ

კრიტიკული კითხვა, ისტორიულად და ტექსტუალურად დასაბუთებული ინტერპრეტაციის უნარი და ტექსტის მიმართ პატივისცემა ისევე, როგორც ამ უნარების გამომუშავება საჯარო სკოლებში, თავისით არ ხდება.

ამიტომაც იმედი მაქვს, რომ მზექალა შანიძის სიტყვა თავისი ღრმა მნიშვნელობით შესმენილ იქნება. ყველა ჩვენგანს ვუსურვებ, რომ მან დიდხანს მოგვცეს მისი სიტყვების მოსმენის შესაძლებლობა, სიტყვებისა, რომლებიც ჩაგვაფიქრებს.

დაბოლოს, ვისურვებ, რომ ჯანმრთელი იყოს, მე უკვე ვხარობ მისი მეთავე დაბადების დღით.

ვინფრიდ ბოედერი
ოლდენბურგის უნივერსიტეტი
გერმანია